1923 ნიანგი 1963

№ 12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ-40 ᲬᲔᲚᲘ, ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პ.

40 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორმოცი წელი შესრულდა ქართული სატირისა და იუმორის ჟურნალ „ნიანგის“ გამოსვლიდან.

ჩვენი სამშობლოს სატირისა და იუმორის ჟურნალების ერთიანი ოჯახი ზეიმით აღნიშნავს მისი „დაბადების დღეს“.

საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს ახარებს ის უდიდესი მიღწევები, რომლებიც ქართველმა ხალხმა მოიპოვა მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის, ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გატარების საფუძველზე.

ქართველი ხალხი საბჭოთა სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად გმირულ შრომას ეწევა პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, პარტიის ახალი პროგრამით გათვალისწინებული გრანდიოზული ამოცანების შესრულებისათვის.

საბჭოთა პრესის მუშაკები კომუნიზმის მშენებლობის მოწინავე ხაზზე იმყოფებიან. კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში თავისი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის პრესას. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ თავისი მახვილით იბრძვის და ააშკარავებს საზოგადოებრივი საკუთრების დამტაცებლებს, წამგლეჯებს, მექრთამეებს, ბიუროკრატებს, იბრძვის წარსულის გადმონაშთების — ლოთობის, უსაქმურობის, ხალხის საკუთრებისადმი დაუდევარი დამოკიდებულების წინააღმდეგ. ჟურნალი სისტემატურად ეხმაურება საჭირბოროტო საერთაშორისო მოვლენებს, აკრიტიკებს დასავლეთის ბურჟუაზიულ კულტურას, უჩვენებს მის იდეურ არარაობას და გადაგვარებას.

ჩვენს ქვეყანაში ნიანგები არ ცხოვრობენ, მაგრამ საზოგადოებრივი საკუთრების დამტაცებლებს, წამგლეჯებს, მუქთახორებს, მექრთამეებს, ბიუროკრატებს, მლიქვნელებს, სატირული ჟურნალი „ნიანგის“ უფრო მეტად ეშინიათ, ვიდრე ნილოსის ნაპირების მკვიდრთ ნიანგის.

კოლექტივიზაციის პერიოდში „ნიანგი“ თავისი მახვილით იბრძოდა კლასობრივი მტრის კულაკობისა და მათი დამქაშების ყოველგვარი ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ.

სამამულო ომის მრისხანე დღეებში „ნიანგში“ დაბეჭდილი ფელეტონები და პოლიტიკური კარიკატურები გამანადგურებელ ლახვარს სცემდა სამშობლოს ვერაგ მტრებს. ამჟამად ჟურნალი დაუნდობლად ებრძვის იმპერიალისტ ავაზაკებს, “ცივი ომის“ გამჩაღებლებს, რომლებიც ცდილობენ დაარღვიონ ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრება და ატომური ომის საშინელ ხანძარში გადაჩეხონ კაცობრიობა.

„ნიანგის“ იარაღი სიცილია, ჯანსაღი სიცილი. ამ იარაღით იბრძვის ის 40 წელია.

სიცილით ბრძოლაში განმტკიცდა კარიკატურისტების, ფელეტონისტებისა და მწერალ-სატირიკოსების ნიჭიერი კოლექტივი, რომელსაც ქართულმა საბჭოთა იუმორისტულმა ჟურნალმა ფართო სამოქმედო სარბიელი გაუხსნა.

მათ კარგად იციან, რომ დაცინვა სპობს მტერს და სიცილის მახვილი მხოლოდ მაშინ ხვდება მიზანს, როცა ყველა იცინის, იმათ გარდა, რომლებიც სასაცილო მდგომარეობაში არიან წარმოდგენილნი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია დაცინვა მოწინააღმდეგის გამანადგურებელი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში დაიბადა აზრი სატირისა და იუმორის ჟურნალის გამოცემის შესახებ, რაც 1923 წლის ივნისში განხორციელდა. ამ საზეიმო დღეს პირველად უნდა მოვიგონოთ ჟურნალ „ნიანგის“ პირველი რედაქტორი და მისი დიდი მოამაგე აწ განსვენებული **სილვა თოდრია**, წლების მანძილზე რედაქტორი იყო და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ცნობილი ქართველი მწერალი განსვენებული **ნოე ზომლეთელი.** ვის არ ახსოვს აწ განსვენებულები **ისაკი ხინველის** (ზეუკი, ისელი), **ვ. ბერაძის** (ხოზიკა), **გერმანე გიორგაძის** (გერმან შუბიძე), **ნესტორ შენგელიას** (ჭაგნელი ბზიკი) და ცნობილი ქართველი პოეტის **გიორგი ქუჩიშვილის** ოსტატობით დაწერილი სატირული და იუმორისტული ნაწარმოებები.

გულის ტკივილით ვიგონებთ უდროოდ და ტრაგიკულად დაღუპულ ქართული სიტყვის შესანიშნავ ოსტატს, დიდებულ მწერალსა და მოქალაქეს **აკაკი ბელიაშვილს**, რომელიც წლების მანძილზე იყო ჟურნალ „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და თავისი შემოქმედებითა და პრაქტიკული საქმიანობით დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული სატირისა და იუმორის განვითარების საქმეში.

დიდხანს მუშაობდა „ნიანგის“ რედაქტორად **სანდრო ეული**, (ქურიძე), მაგრამ ის ეულად არ დარჩენილა ამ თანამდებობაზე და ჩვენმა გამოჩენილმა მწერლებმა და პოეტებმა **გრ. აბაშიძემ, კ. კალაძემ, ი. ლისაშვილმა, ვ. ჭელიძემ, ე. მალრაძემ** თანამიმდევრულად შესცვალეს ერთმანეთი და დიდი მუშაობა გასწიეს, როგორც რედაქტორებმა, ქართული სატირისა და იუმორის ჟურნალის მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის.

დიდი ღვაწლი მიუძღვით „ნიანგის“ მუშაობაში და ქართული სატირის განვითარებაში საქართველოს სახალხო პოეტს **იოსებ გრიშაშვილს**, პოეტ-აკადემიკოს **ირაკლი აბაშიძეს**, პოეტ **სიკო ფაშალიშვილს** (ფარსადანი), ისინი წლების მანძილზე იყვნენ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრები, სისტემატურად **აქვეყნებდნენ** ჟურნალში თავიანთ ნაწარმოებებს, დიდ დახმარებას უწევდნენ და უწევენ ჟურნალს ყოველდღიურ მუშაობაში.

ჟურნალში დიდხანს მუშაობდა რედაქტორის მოადგილედ ამჟამად, ხუმრობის გარეშე, ფილოლოგიური მეცნიერების დოქტორი **ს. გაჩეჩილაძე**, (ს. წეველი), სხვადასხვა დროს რედაქტორის მოადგილეებად მუშაობდნენ ჩვენი გამოჩენილი პოეტები **ი. ონნეშვილი, რ. მარგიანი**, დრამატურგი **გ. ივანიშვილი** მწერლები **ვ. თორდუა, გ. ხუხაშვილი.**

სასიხარულოა, რომ ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი მწერლები **კ. გამსახურდია, კ. ლორთქიფანიძე, ს. კლდიაშვილი, გ. ნატროშვილი** არ ივიწყებენ სატირისა და იუმორის ჟურნალს და დროდადრო თავიანთი ნაწარმოებებით ახარებენ ქართველ მკითხველებს. **ს. კლდიაშვილი** წლების მანძილზე ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრია და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მის მუშაობაში.

ჟურნალში აქტიურად თანამშრომლობდნენ და თანამშრომლობენ პოეტები და მწერლები ჩვენი ნიჭიერი პოეტი **ხ. ბერულავა**, მწერალი **პ. ლორია, კ. გოგიაშვილი, მ. გოგიაშვილი, გ. ქელბაქიანი, ბ. სეირანიანი, ს. მანველიანი, გ. გოგიჩაიშვილი მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნიშნიანიძე, ქს. ხაფავა.**

ჟურნალი „ნიანგი“ არცთუ ისე ახალგაზრდაა, უკვე ორმოცი წელი შეუსრულდა. მაგრამ ის მუდამ ჭაბუკური ენერგიით არის აღსავსე, რადგან მის ავტორთა აქტივში ძველ სატირიკოსებთან ერთად არიან ახალგაზრდა სატირიკოსები, რომლებიც მოვიდნენ ჟურნალში წარმოებიდან, გაზეთებიდან, უმაღლესი სასწავლებლებიდან, კოლმეურნეობებიდან და თან მოიტანეს ახალგაზრდული შემართება, ბოლშევიკური მიზანსწრაფვა. უკანასკნელ წლებში დავაჭკაცებულ ცნობილ სატირიკოს-იუმორისტთა შორის თავისი შემოქმედებით ერთ-ერთი უპირატესი ადგილი უჭირავს **ნოდარ დუმბაძეს** (ჯვეგე დუმბავა), რომელიც ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრია და რამდენიმე წლის მანძილზე მუშაობდა რედაქტორის მოადგილედ. აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალში ნიჭიერი მწერალი **ედიშერ ყიფიანი.**

უკანასკნელ წლებში ჟურნალის კოლექტივს ბევრი ნიჭიერი ავტორი შეემატა. ისინი სისტემატურად ბეჭდავენ „ნიანგის“ ფურცლებზე შესანიშნავ ფელეტონებსა და მინიატურებს. ჟურნალის მოწინავე რაზმში არიან **ნ. კანდელაკი, ა თაყაიშვილი, რ. მამულაშვილი, გ. მეტრეველი გ. ფანჯიკიძე, გ. შარაშიძე, აპ. ბასილაია, ქ. ისაკაძე, ვ. ხმალაძე, გ. ბახტაძე, ზ. გემაზაშვილი, ი. გერსამია, ვ. მამუკელაშვილი, გრ. ჩიქვილაძე, ირ. ყიფიანი, ა. ტაბატაძე, ალ. სამხონია, რ. მიშველაძე, გ. მახვილაძე, შ. მარმარაშვილი, ნ. ლელაშვილი, შ. ნეტსაძე, ხ. აბაიშვილი, ქ. კასრაძე, გ. მახარაძე, ა. უშვერიძე, მ. ნუცუბიძე** და სხვები.

დღეს „ნიანგის“ ზეიმია და ამ საზეიმო დღეს საზეიმო აღთქმას იძლევა იგი, რომ მისი მახვილი არასოდეს არ დაჩლუნგდება ბოროტთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ვიდრე ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის წინსვლას კომუნიზმის კაშკაშა მწვერვალებისაკენ.

ნიანგს ულოცავენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორმოცი წელი ქვეყანაზე ღიმილით იარო, დასცინო
ყოველგვარ ბოროტებას და ზიმახინჯეს, სიყალბესა და
მანკიერებას, მე მგონი არცთუ ისე ოლი საქმეა.
ორმოცი წელია იცინის „ნიანგი“ გულიანად, ჯანსაღად.
ვუსურვებ უამთასვლაში მას თანდათან მოკლებოდეს საკ-
ბილო, მაგრამ, ყოველ შემთხვევისათვის, კბილები მაინც
ალესილი ჰქონდეს. რადგან ნიანგის სეხნიები საუკუნეე-
ბით ცოცხლობენ, მას ნამდვილ ნიანგზე ათასჯერ მეტ
ხანს ეცოცხლოს ქვეყნად.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ნ. მუსხელიშვილი

ვულოცავ ჟურნალ „ნიანგს“ ორმოცი წლისთავს. ჩვენმა სატი-
რისა და იუმორის ჟურნალმა საყოველთაო ინტერესი დაიმსახურა
ქართველ მკითხველთა შორის თავისი მახვილგონიერი, მამხილებე-
ლი და ამასთანავე მეგობართათვის სალაღობელი სიცილით.
ჩვენმა მხატვრებმა ჟურნალ „ნიანგში“ გაიარეს ახალი ცხოვ-
რებისეული ახასიათის დიდი სკოლა და ქართული საბჭოთა მხატვ-
რობის განვითარების ისტორიაში ჩასწერეს ღრმად მნიშვნელოვანი
და შთამბეჭდავი ფურცლები.
ქართული იუმორისტული ნახატი იმდენად მაღალ იდეურ
მხატვრულ დონეზე დადგა, რომ მისი მნიშვნელობა გასცილდა
ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს და დღეს მთელ საბჭოთა კავშირში
ფართოდაა ცნობილი მისი მახვილგონიერება.
ვუსურვებ ჟურნალ „ნიანგს“, რომ მისი სიტყვა კიდევ უფრო
ქმედითი ყოფილიყოს და მისი მხატვრობაც კიდევ უფრო მეტად
გამომხატველი ქართული ჯანსაღი იუმორის, ქართველი ხალხის
სიხალისის, სიხარულის.

სსრ კავშირის სახალხო მხატვარი

კაცს ორმოცი შეუსრულდა—არ გეგონოთ ოცია,
ხელის ჩამორთმევა უნდა,—საქმე მისალოცია:
უცხოვრია, უღვაწია, კაცური გზა ულახავს,
უშოლტია, რაც საშოლტი და სატყეპი უნახავს!
გაუზრდია — ახალგაზრდა კალმოსანთა არმია,
ვისაც სიტყვის სამჭედლოში მჭლე ხუმრობა არ მიაქვს.
და ვინც სადმე შეჰფარვია ახალ დროის კუნტულებს,
რიხით უთხრა ნიანგელებს (ჩუმად როდი ჩურჩულებს):
— „დასცხეთ ღდინძაღლს, ამოუწვი, ნიანგელო რაინდო,
არ დაზოგო უნიჭობა, ორპირი არ დაინდო!“
ამ რისხვაში მოუწია ორმოცი წლის ჰასაკმა,
და შაბაშ, რომ ამ მანძილზე ბევრი მავნე ალაგმა!
კვლავ მის მრავალ წინსვლას ველით და მზადა ვართ
შევძახოთ:
— ბიჭო, ნიანგ, ბასრად დაჰკარ, სულ ვაკკაცად გვენახო.

ფარსადანი

ორმოცი წელი შეგისრულდა, ჩვენო „ნიანგო“.
ორმოცი წლის მანძილზე შენ საკმაოდ მოგიმაგრდა
კბილები და საკბილოც არ გაკლია. ხუმრობა გიყვარს,
მაგრამ ღმერთმა დაიფაროს კაცი შენს ყბაში ჩავარდ-
ნისაგან. ბევრი გაგირბის, მაინც ყველას ეწევი, ყველას
ამათრახებ, ვისაც სინდისის ძარღვი გასწყვეტია.
გულწრფელად მოგილოცავ ორმოცი წლისთავს.

საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი
პოეტი აკადემიკოსი

ორმოცი წელია შენი ჯიმარდი სიტყვა ჩანგალივით
ჰგმირავს თაღლითებსა და უქნარებს, რომლებსაც რა
ერთი ხანია შენი „ეშმაკის“ „ნიშადურული“, შენი
„ტარტაროზული მათრახი“ თავბედს აწყევლინებს!
არ მყოფნის სიტყვის მურაზი, ხარფუხული ჯავა-
რი, რომ ანგლური რითმებით მოგილოცო და მოგისიყ-
ვარულო, ჩვენო ხალასო ხალისო, ჩვენო ჰუმორის მა-
რილო, ჩვენო ლხინის სილაზათევ... იდღეკეთილე,
გწერს პირზე კოცნით შენი გრი-გრი

„ნიანგმა“ ბევრჯერ გამოაქვეყნა ჩემზე მეგობრული
შარჟი. მეც მეგობრულად მინდა ხელი ჩამოვართვა
ჩვენს იუმორისტულ ჟურნალს და გულწრფელად მივუ-
ლოცო დაარსებიდან ორმოცი წლისთავი. ქართველ
ხალხს ოდითგანვე მოსდევდა იუმორის მძაფრი გრძნო-
ბა; ბრძოლის ველზე სიკვდილსაც კი დასცინოდნენ ქარ-
თველი მებრძოლები.
ხელში ვიღებ სასმისს და „ნიანგს“ ვუჯახუნებ ჩან-
გალზე. იდღეგრძელე, ჩვენო გონებამახვილო ჟურნალო!

ძვირფასო „ნიანგო“, სულითა და გულით მოგილოცავ
დაბადებიდან 40 წლისთავის იუბილეს, გისურვებ კვლა-
ვაც მტკიცედ გეჭიროს შენი მახვილი ჩანგალი. მე
ღრმად მწამს, რომ ეს ნაცადი იარაღი დამზადებულია
რუსთაველ მეფოლადეთა მიერ ნაწრთობი რვალისაგან.
სატირის ბასრი მახვილით გაანადგურე ბიუროკრატე-
ბი, მუქთახორები, წამგლეჯები, საზოგადოებრივი წეს-
რიგის დამრღვევნი.
დაე, შენი ჩანგალი სარეველა ბალახივით ამოძირკ-
ვავდეს მათ, ვინც ხელს უშლის ჩვენს ძლევამოსილ წინ-
სვლას კომუნიზმისაკენ.
ჩვენთვის სასიქადულო და გარეწართა ლახვარო, მარ-
თალო და მოუსყიდველო ნიანგო, რუსთავის მშრომელთა
სახელით კვლავ მინდა გისურვო წარმატებები შემოქმე-
დებითს ნუშაობაში და ოთხი ათეული წლის ასაკის მქო-
ნეს დაუბერებელი ახალგაზრდობა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს ჩქა-
როსანი მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

40 წლის ვარ!

ივნისლარის კალენდრებში ნე ჩამომარჩევენ, თუ ვიტყვი, რომ ქართული კარიკატურის ისტორია შეიტყობილ არის დაკავშირებული საბრინაა და ეფემერის ეფიგალ „ნიანგთან“. ჩვენი ბარიტობის ეს წლის მანძილზე არა ერთი და ორი ნიჭიერი საბრიკოფილი — ეფემერიდა კარიკატურისა და ფარგის ისტატი ფერიდა და ახალიბს ჩეკი ფეფოკლებიდან თავიანი ფემოქმედებანი ქართველ მკითხველებს. მე დიდ ოფორტაკოფილად არ ვნოსაკვა თავი, ფფრო პრაკტიკულ საქმიანობას ვეწევი, მაგრამ ის კი ვიცი, კარიკატურა ივიგე საბერია, ივიგე ეფემერია ფერებში და ბაზებში გადოფცემული. ამვიათია ჩვენს ცხოვრებაში ისეთი მანკი, ისეთი ნიმახინენე და ნარსულის გადმოსაბოლეში, რომლებიც ჩვენი მხატვრების კალამს არ ეფმოეზორებინის და ეკოთაელთა მაუბია მეკარე დაცინვის საგნად არ გიეხადოს „ნიანგის“ ფურცლებზე.

ჩემი ფურცლებზე დაბეჭდილი პოლიტიკური კარიკატურები საბარული ნიმაღფილი ამბელეს ინტერნაციონალ-ეკანალთა ვეოიკობას, ოთის გამმიდებელთა ანზოლარ, პროფოკაციეფულ მოქმედებას, ხამაცსეინო ბიომნე აკოავენ მეფიდოსის ფარებს.

ეფუნილეს ფდეს პირველად მინდა მოვეგონინი გამბეკნებულნი ოსაპრ ფფენლეფნეი და ხაკროველეოს ჩილოფენების დამსახურებული მოდაფნე ფ. ეეთაეთეაეაეე. ეხვეთთან ერთად, მათ ეაფფეფელი ბეუეარეს ქართულ კარიკატურას და ეწლების მანძილზე „ნიანგს“ ამშეენენდენენ თავიანთი ნახატებით, კარიკატურებით.

ახა როგორ დამავიწეყდება თქვენნი ხიბაბეეეე, ახალგაზრდეული ენერგიით რომ ჩიენთი ახალგაზრდა ეეფანლის ბეეზოთაში და ამეამად კი ყველასათეის ნასიკვდეული ადამიანები ბრძანდებით ხაქ. ხარ ნახალეო მხატვარი ა. ეეთაეთეალაე, ხაქ. ხარ ჩილოფენების დამსახურებული მოდაფნე ხ. ნაფარეიფფილი, ხარ კეფფარონ ნახალხო არტისტი ფ. ფიაეარალი, ნაქ. ხარ ნახალხო მხატვარი ლ. ბეფფაეეფილი, ხაქ. ხარ ჩილოფენების დამსახურებული მოდაფნე ხ. ბაბაეფილი.

ეუნდა გითხრათ, რომ არც ფეინი დარჩენილი ამ ფეინეეზე, როგორიც ჩვენთან მოეფდა. ხაეჭოთა პერიოდში აღზრდილ და ფემოქმედებითად დაეფეკცეფილ ხატიკოფაკარიკატურისტებია ფოინა თავეი. ხი ეაეფფიერი ეუფპოთი ბინეფენელოანი ადგილი უკერავს ხაქ. ხარ დამსახურებულ მხატვარს — �аеоі ნიაეფლეეე

სახლმმართველთან

— სამი წელიწადი სახლის კედლის შეკეთებას რომ ითხოვდნენ მობინადრეები, ქე ჩამონგრეულა ამ დილით!

— კიდევ კარგი, რომ არ შევაკეთეთ, თორემ წყალში ჩაგვეყრებოდა მთელი შრომა!

ღორის ულუფა და გულალტერია

— რა არის ღორი? — მიამიტურად იკითხა ახალციხის მეღორეობის ფერმის ბუღალტერმა ზაქეოს აკოფის-ძე მელქონიანმა და საწყობის გამგე სარქის გრიგორის-ძე ქოქჩიანს მრავლისმეტყველი თვალთა ციმციმით გადახედა.

— ღორი? ღორი, ხაზეინჯან, ღორია, —მიუგო სარქისმა.

— ღორი შინაური ცხოველია.—შინაურულად, თავის ნებაზე, ჩაერთო საუბარში ფერმის მოლარე შოთა ივანეს-ძე ნებაძე და ღიმილით გაებადრა სახე.

— ღორი სიმდიდრის წყაროა, — ბრძანა ზაქეოსმა.

— დიახ, როცა მსუქანია, მსუქანი ლუკმაა, — კვერი დაუკრა სარქისმა.

— სალაროს ხვითოა, — დაასკვნა შოთამ.

— ღორი მაშინაც ამდიდრებს ადამიანს, როცა ღორია და მაშინაც, როცა არც ღორია და არც გოჭი, ე. ი. როცა სულაც არ არსებობს, — ბრძნულად დაიბუზუნა ზაქეოსმა.

— რაღაც ვერ მიგიხვდი, ხაზეინჯან! — მხრები აიჩეჩა საწყობის გამგემ.

— ეს იმიტომ, რომ საბუღალტრო ხელოვნებაში ვერ ერკვევი, — განუმარტა მოლარემ.

— რამდენ გოჭს იგებს დედაღორი?

— დედაღორი ცამეტამდე გოჭსაც კი იგებს, მაგრამ ჩვენ მეცამეტე გოჭები კი არა ვართ, ღორებთან გვქონდეს საქმე და შესაფერისად არ მოვიქცეთ, ჩვენც უნდა ვიხეიროთ.

— მაშა, მაშა!

მარტოხელა საუბრით კი არ ერთობოდა ეს წმიდა სამება. იყო სიტყვაც და იყო საქმეც და საქმემან მათმან გამოაჩინა ისინი.

ერთ მშვენიერ დღეს 29.000 კგ კომბინირებული საკვები მიიღეს საწყობში, აღრუტუნდნენ ფერმის ღორები სიხარულით, მაგრამ ამაოდ ისმოდა ღრუტუნი მათი საღორესა შინა. მელქონიანმა და ქოქჩიანმა სხვათა და სხვათა ღორების გამოსაკვებად გაყიდეს იგი, 2312 მანეთი ჯიბეში იკრეს და ამდენი კომბინირებული საკვების შეჭმა ფერმის პირუტყვალაგამოვლებულ ღორებს დაუბრალეს ყალბი უწყისებით.

1962 წლის თებერვალში მელქონიანმა პირადი ინიციატივა და დამოუკიდებლობა გამოიჩინა, ყალბად მიიჩნია ანდაზა, ესაო და „ერთი კაცი ჭამაშიაც ბრალია“-ო. არაო, თქვა თავისთვის, მარტო რომ ჭამ, მოცილე არ გეყოლება, საბრალო და საცოდავი, პირიქით, მაშინა ხარ, როცა სხვასთან ერთად ჭამ. საკუთარი ფილოსოფიით გულდაარხეინებულმა შეადგინა ყალბი უწყისები, ვითომ ამა და ამ მუშებს ხელფასის სახით 1027 მანეთი მივეციო, ფული მარცხენა ჯიბეში ჩაიდო და ყველას მაგვარად თავისი მარჯვენით მოაწერა ხელი.

მოეწონა თავისი ღვაწლი და ამავე მეთოდით მარტის თვეში 1299 მანეთს აუგო წესი.

ქოქჩიანმა და მელქონიანმა ოთხი ავტომანქანა პირთამდე გაავსეს კარტოფილითა და კომბოსტოთი, მთელი ეს 8.500 კგ ტვირთი ბათუმის კოოპვაჭრობას მიყიდეს 1457 მანეთად და აღებული თანხა ძმურად გაინაწილეს.

მელქონიანმა ახლა გადაწყვიტა ბოსელი ვითომ საღორედ გადაეკეთებინა. ხელშეკრულებას სასწრაფოდ მოაწერა ხელი საკუთარ ძმისშვილებთან, 1000 მანეთი პირწმინდად ჩაიდო ჯიბეში და ოპერაციაც დასრულებულად ჩათვალა. მის ძმისშვილებს თითიც არ გაუნძრევიათ, ბოსელი საღორედ არავის გადაუკეთებია, მაგრამ მელქონიანის ჯიბე კიდევ ერთხელ გასქელდა. მელქონიანმა კაზაროვზე 1500 (ათას ხუთასი) კგ სიმინდი გასცა საფურაქედ და, როგორც კი მიღებაზე ხელი მოაწერინა, დოკუმენტზე ერთი ოთხად გადააკეთა, ათას ხუთასს წინ ოთხი მიუწერა და ამგვარად კაზაროვზე გაცემული აღმოჩნდა 4.500 (ოთხი ათას ხუთასი) კგ სიმინდი. ამრიგად მელქონიანმა სამ ტონა სიმინდს ერთის მოსმით გადაუძახა თავის უძირო ჯიბეში.

ნებაძე მელქონიანის ნება-სურვილის ნებიერი აღმსრულებელი იყო. მუშებზე გასაცემი ხელფასის უწყისებს ფანქრით ადგენდა, ხელისმოწერის შემდეგ ფანქრით ნაწერს შლიდა და მელნით წერდა ზედ; საშემოსავლო გადასახადი, ფანქრით ნაწერში მოზრდილ თანხას რომ შეადგენდა, მელნით ნაწერში მცირდებოდა და განსხვავება თავს იყრიდა ბუღალტრისა და მოლარის ჯიბეებში. მელქონიანმა და ნებაძემ ამ ოპერაციით 11.617 მანეთი აითვისეს და მიითვისეს.

არარსებული ღორების განსაზღვრული რაოდენობაც სისტემატურად იღებდა წმიდა სამების კურთხევით კარგა მოზრდილ ულუფას და თავიანთი მოხერხებულობით გახარებულ ბუღალტერს, მოლარესა და საწყობის გამგეს, როგორც იტყვიან, ცა ქუდად აღარ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად.

ახლა პასუხისგებაში გადაცემულნი ისევ სოლიდარულად კითხულობენ:

— რა არის ღორი?

— ღორი ცხოველია, — ამბობს საქ. სსრ მილიციის სამმართველოს მუშაკი ბ. ჯაფარიძე, — მაგრამ ადამიანი იმის ადამიანია, რომ ცხოველად არ იქცეს.

ჟარაშოტი

ვინ არის გულშემატკივარი

ყაზბეგის რაიონში სოფელ სიონში პიონერთა ბანაკის მშენებლობა რომ დაიწყო, 1958 წლის გაზაფხული იყო, თოვლს ცხელი ხინკალივით ოხშივარი ასდიოდა და ბალახის წვერები ქაჩლის თმებივით იყო აქა-იქ ამოშვერილი.

— რაო, რის აშენებას ვაპირებთო, რა თქვეს?—შეეკითხა მოხუცი ღვთისო თავისკბილა მათიას და სმენა გაამახვილა.

— ექვსი ისეთი სახლი უნდა ავაშენოთ, რომ მოხვევეებს სასახლეები გეგონოთო...

— მერე და შიგ რა იქნებისო?

— პიონერთა ბანაკიო.

— ჰაი დედასა... ბალღობისას ცხვარში სირბილით ფეხები მქონდა დაღლეტილი და ამ ჩვენს ბალღებს კი ბანაკებსა და სასახლეებს უშენებენ.

— ჩემს ახალგაზრდობაში, ჩემო ღვთისო, ქალამანი მენატრებოდა და ამას წინათ ჩემმა შვილიშვილმა თავი მაიკლა, ოლიმპიადაზე ელგუჯა უნდა ვითამაშოო და ქალამანი მჭირდებაო. გადავაბრუნეთ, კაცო, მთელი ხევი და ფარსაგად ერთი წყვილიც ვერ ვიშოვნეთ.

—ეე, ძნელი იყო სიღარიბე, ძმაო, ძნელი.

გავიდა 1958 წელი, ქვა ქვას დაედო, აგური-აგურს და სიონის პიონერთა ბანაკს საქართველოს კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მმენებლებმა საძირკველი გამოუჩინეს, 1959 წ. კი კარ-ფანჯრებამდე აიწია, ხოლო 1960 წელში კოჭებამდე მიაწვდინეს ქაფჩა კალატოზებმა და ხელი გადაიბანეს. 1962 წლის გაზაფხულზე ერთხელ კიდევ გამოჩნდნენ მშენებლები და სიონი აახმაურეს.

— მოგვიხეთ მშვიდობით. მოგვიხეთ... სადა ხართ, როგორა ხართ, სად დაიკარგეთ?!

— ვართ რა! — შეაგებეს პასუხი მშენებლებმა.

—რად დაგვიმწუხარეთ პიონერები, რაის არ მორჩებით ამ სახლებს და არ გააცოცხლებთ აქაურობას?

— მოკლედ რომა ვთქვათ, ეს შენობები ყაზბეგის ადგილობრივ მრეწველობას გადავეცით, ახლა თქვენ იცით და ყაზბეგელებმა. კარგად იყავით... — ჩაილაპარაკეს მშენებლებმა და გაუდგნენ გზას.

1962 წელს ძლივს ეღირსა შენობებს გადახურვა; წვიმა აღარ დასდიოდა და თოვლი, მაგრამ ყაზბეგში ადგილობრივი მრეწველობის კომბინატს დღეები დაუმოკლდა, გაუქმდა და დარჩა პიონერთა ბანაკი პიონერების გარეშე, დაუმთავრებელი.

—რა იქნენ ის ჩვენი მშენებლები, მათიავ?

—რა ვიცი, ღვთისო, ზოგნი ქალაქში წავიდნენ, ზოგნიც ყაზბეგში არიან, მაგრამ ამ სახლებს რა.. პატრონი მათ აღარა ჰყავთ და გულშემატკივარი.

ვ. კახელიშვილი



ვის როგორ ესმის

— მოატყუა, კიდევ მოატყუა!..
— შე უბედურო, კაცი კაცს ატყუებს და ის გიხარია?!

მინიატურები

— როგორა ხარ, ნესტორ, როგორ!—მიესიყვარულა დიდი ხნის უნახავ მეგობარს ალექსანდრე.

— რა მიშავს, ავდივარ და ჩამოვდივარ ცხოვრების კიბეზე.

— კარგია, იარე! ექიმები ამბობენ, სიარული მეტად სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის.

— მერე, მოძულებული გაქვს, შე კაი კაცო, თავი, ფეხ-მოუცვლელად რომ ზიხარ ამ თანამდებობაზე ათი წელია?!

— რა გაეწყობა, ჩემო ნესტორ, ზევით არავინ მიშვებს, ქვემოთ მე ჩემი ნებით არ ჩავდივარ, ჰოდა, ვარ ასე... ჯანმრთელად და ბედნიერად...

* * *

— თეიმურაზს ისე ძალიან უყვარს თავისი ცოლი, რომ სულ თვალებში უცქერის!—საყვედურით გადაუკრა მეუღლეს ცოლმა.

— თვალები აქვს ლამაზი იმ, ქალს და, აბა, რას იზამს კაცი! — მიუგო მშვიდად ქმარმა.

ნანა კანდელაკი

ამონანერები მომავალი „ნიანგის“ ფურცლებიდან

საყვარელო ნიანგო!

კარგად მოგვისმინეთ და გაიზიარეთ ჩვენი გაჭირვება. ძალისელებს ჩივილი და წერილების წერა არ გვიყვარს, მაგრამ იძულებული გავხდით ამ გზას დავდგომოდით.

ჩვენი საჩივარი სასმელ წყალს შეეხება. საქმე ისაა, რომ გვეშინია ონკანის მოშვება, საკმარისია ოდნავ მოუშვათ იგი, რომ წყალი ისეთი თქრიალით წამოვა, რომ ახლოს ვერ მიეკარებით, ეს კიდევ არაფერი, ასეთი დიდი წნევის დროს, მოსალოდნელია წყალმა მილები დახეთქოს და მერე უყარეთ კაკალი. აქ ხომ ყოველ 50 მეტრზე წყლის ონკანებია გამოყვანილი და რა გვეშველება, თუკი ყველა მათგანიდან გადმოხეთქა წყალმა? მთელი ძალისი ხომ წყლით დაიფარება?

იქნებ წყალთა მეურნეობის მუშაკებმა მოწყალე თვალით მოიხედონ ძალისისაკენ.

ძალისელი

ძვირფასო ნიანგო

გავიგეთ ცაგერის რაიონის სოფელ ორბელის ნახვა გაგიზრახავს, მივესალმებით თქვენს გადაწყვეტილებას და გლეხით გაშლილი ხელით, მხოლოდ წინასწარ გაფრთხილებთ, თან შავი სათვალეები წამოიღოთ, თორემ ჩვენთან ისეთი სიძლიერის დენია ჩართული, რომ სინათლე თვალს მოგჭრით.

რა არ ვიღონეთ, ჯერ იყო და მომცრო ნათურები გავუკეთეთ, შემდეგ ამან რომ არ უშველა, მუქი ქაღალდი შემოვახვიეთ, მაგრამ ქაღალდი დაიწვა და ხანძარს ძლივს გადავურჩით. ახლა ისევ მამაპაპურ ჭრაქს უნდა მივმართოთ, თორემ ისე არაფერი გამოდის, ეტყობა სოფლენერგოს მუშაკებს მხედველობა აკლიათ და ამიტომ ვერ ამჩნევენ ასეთ სინათლეს. თუ ასეა, მაშინ სათანადო ორგანიზაციებმა მხედველობაში უნდა მიიღონ მათი მხედველობა და უფრო შესაფერისი მუშაკები შეარჩიონ ასეთ ადგილებზე.

ბათურა ორბელიანი

ძვაო ნიანგო!

გაგეგონებათ სოფელი ანაგა, აქ სტუმართმოყვარე და მშრომელი ხალხი ცხოვრობს, ისიც გეცოდინებათ, რომ ანაგელების ღვინო საქვეყნოდაა ცნობილი, მაგრამ იმას კი არც დაიჯერებთ და არც გეცოდინებათ, რომ ვენახებამდე გაყვანილი ასფალტი უკვე მოძველდა და რომ ზოგიერთ ადგილას ასფალტი ამოცვენასაც კი აპირებს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ თავიდანვე ასფალტი მაღალი ხარისხისა არ იყო. მზიან ამინდებში მალე ცხელდებოდა, ჩვენს მეზობელ სოფელში ყველგან ბეტონია დაგებული და ჩვენ, ანაგელებმა, რაღა დავაშავეთ? ასე რომ, თუ ანაგაში ჩამოსვლა განიზრახოთ, ჩვენს ქუჩებზე ფრთხილად იარეთ, ვინ იცის იმ დროისათვის ზოგიერთ ადგილას ასფალტი მართლაც ამოცვივდეს, ყველაფერი მოსალოდნელია.

ასფალტა ანაგელი

ამხანაგო ნიანგო!

ამ ბოლო დროს დამშვენდა და აშენდა სოფელი გლდანი, გვაქვს საკუთარი პანორამული კინოთეატრი, სახალხო თეატრი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, უკანასკნელი ტექნიკით აღჭურვილი საავადმყოფო, ცირკი და ვინ მოსთვლის კიდევ რა. მაგრამ სიმშვიდე და მოსვენება ყველაფერს გვირჩევნია, რის საშუალებასაც გვისპობენ „სოიუზტრანსპორტის“ მუშაკები. აბა წარმოიდგინეთ ასეთი ამბავი. ყოველ ნახევარ საათში სოფლის ორივე მხარეს მარტო თბილისიდან მოდის და მოდის ავტობუსები, ეს კი დილის ექვსი საათიდან იწყება და მხოლოდ ღამის თორმეტ საათზე წყდება. მოგახსენეთ —ეს მხოლოდ თბილისიდან—მეთქი. ასე, რომ, ყოველ წუთს სოფელში ღამის თორმეტ საათამდე არ წყდება მანქანების საყვირისა და გუგუნის ხმა. ხშირია შემთხვევა, როდესაც ავტობუსები ცარიელი მიდიან და მოდიან, ალბად იმიტომ, რომ გრაფიკით ასეა გათვალისწინებული.

იქნებ ამ საყვირის ხმამ მიაღწიოს იმათ ყურამდე, ვისაც ჯერ არს და სოფელ გლდანში შეამციროს ავტობუსების რეისების რაოდენობა. ჩვენც ხალხი ვართ და მოსვენება გვინდა.

საყვირა გლდანელი

№ 362
28/VI 63

რედაქტორი ... ...

63-362

ИНДЕКС 76137